

„ტრეინინგი რომელიც ჩატარდა 2018 წლის 1-2 მაისს იყო ძლიერ საინტერესო. იგი შეეხო მრავალ ისეთ ფაქტორს, რომელიც დღესდღეობით აქტუალურია და ამ მხრივ ცოდნის გაღრმავება აუცილებელია რათა მოხდეს თანამედროვე მეთოდების დანერგვა ჩვენს ქვეყანაში. ტრეინინგში გამოყენებული პროგრამის გამოყენება საინტერესო გამოცდილება იყო. ამიტომაც მივიჩნევ რომ მოცემული სახის ტრეინინგები ხშირად უნდა ტარდებოდეს. ასევე აღსანიშნავია, რომ მოწვეული მეცნიერები იძლეოდნენ ამომწურავ პასუხებს რაც მოცემულ ტრეინინგს უფრო საინტერესოს ხდიდა.“

პატივისცემით, ქეთევან წილოსანი

ეკოფიზიოლოგიის სამსახურის სპეციალისტი

„საინტერესო ტრეინინგი იყო ორი ახალი პროგრამის შესახებ, რომელიც ჩემს კარიერულ განვითარებაში საკმაო წვლილს შეიტანს. მადლობა მოწვევისთვის და ცოდნის ამაღლებისთვის თქვენ ორგანიზატორებს და CIP საერთაშორისო წარმომადგენლებს გაწეული თანამშრომლობისთვის.“

კეთილი სურვილებით,

ანა გოფომე

„ძალიან კარგი პროგრამაა და ვფიქრობ საქართველოს პირობები შეიძლება ეფექტურად გამოვიყენოთ, რადგან გვაქვს მრავალფეროვანი გარემო პირობები და ჯიშები.

მოდელირება კარგად გვიჩვენებს ცალკეული ფაქტორის ცვლილების ეფექტს მოსავლის დანაკარგზე, ამიტომ წინასწარ შეიძლება შეფასდეს მოსალოდნელი რისკები და მოხდეს სწორი მენეჯმენტი.

მადლობა საინტერესო და ნაყოფიერი ტრეინინგისთვის.“

პატივისცემით,

ირმა ირემაშვილი

„კმაყოფილი ვარ ტრეინინგით, განსაკუთრებით მეორე დღის ტრეინინგით: თესლის დეგენერაციის რისკის შეფასების სიმულაციები.“

ლალი მოსიაშვილი

„2018 წლის 1-2 მაისს ჩატარებული ტრეინინგ-სემინარი „სათესლე კარტოფილის დეგენერაციის არსის გაგება“ იყო ძალიან საინტერესო. პრეზენტატორებმა გააკეთეს ძალიან შინაარსიანი პრეზენტაციები. მოდელირება ერთერთი საინტერესო საკითხია რომელიც სამწუხაროდ საქართველოში ძნელად იკიდებს ფეხს. განსაკუთრებით მომეწონა სემინარზე განხილული ამოცანების განხილვა სიმულაციების შესახებ, რომელსაც ალბათ სტუდენტებთანაც გამოვიყენებ.“

ცოტნე სამადაშვილი

02.05.2018

„ძალიან მომეწონა კონკრეტული პროგრამა და ვფიქრობ, რომ სამომავლოდ ბევრ კარგ შედეგს მოგვცემს, შესაბამისად ეს იმოქმედებს როგორც ჩემს ასევე მონაწილე წევრების პროფესიულ განვითარებაზე.“

ელენე მგალობლიშვილი

„მოხარული ვარ რომ გავიარე ტრეინინგ-სემინარი: სათესლე კარტოფილის გადაგვარების არსის გაგება. სრულყოფილად ჩავერთე აღნიშნულ სემინარში. ვისწავლე სქემების შედგენა დეგენერაციის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც საუკეთესო საშუალებაა თესლის მწარმოებლებისათვის წინასწარ ივარაუდონ მოსალოდნელი შედეგები.

ვფიქრობ, ასეთი სემინარები მნიშვნელოვნად დაეხმარება ამ დარგის განვითარებას საქართველოში.“

მადლობა

მეგრელიშვილი ივეტა

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი

„ძალიან მომეწონა ტრეინინგი, რომელიც გაიმართა წილკანშიც და ცენტრალურ ოფისშიც. გავეცანით უამრავ საინტერესო საკითხებს, რომელიც აუცილებლად გამოგვადგება ჩვენს შემდგომ საქმიანობაში. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს საქმიანობას წარმოადგენს ლაბორატორიული სამუშაო და არა ღია გრუნტი, ძალიან მნიშვნელოვანია იმის ცოდნა თუ რა საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს დაინფიცირებული სათესლე მასალა და მნიშვნელოვანია და ყურადსაღები სადედე სინჯარის მცენარეების გაფრთხილება, განსაკუთრებით როცა მათ მიკროკლონალურ გამრავლებას ვაწარმოებთ, ანუ ჯანსაღი სადედე მცენარის გამრავლებაა საჭირო.

უღრმესი მადლობა საინტერესო და მრავლის მომცემი ინფორმაციებისთვის. მოხარული ვარ ასეთი საინტერესო ტრეინინგის თანამონაწილე რომ გავხდი.“

ლელა ხოკრიშვილი

ინვიტრო ლაბორატორიის უფროსი სპეციალისტი

პირველ მაისს დავესწარი ტრეინინგს, გავეცანი მცენარეების სიმუღირების მოდელირების პროგრამას, რაც ძალიან საინტერესო იყო. თუ სამომავლოდ დაინერგება საქართველოში ძალიან სასარგებლო იქნება როგორც მეცნიერებისთვის ასევე ფერმერებისთვის.

2 მაისს გავეცანი კარტოფილის ჯანსაღი თესლის ინტეგრირების სტრატეგიას და თესლის დეგენერაციის რისკების შეფასებას, ასევე გავაკეთეთ სიმულაციის სავარჯიშოები.

ტრენერები არიან მაღალი დონის პროფესიონალები, ძალიან კარგად მოგვცეს ეს ინფორმაციები, უპასუხეს უამრავ კითხვას.“

დიანა ანტონოვა, ინვიტრო ლაბორატორიის უფროსი

სსიპ ს/კ ცენტრი

„2018 წლის 2 მაისს დავესწარი ტრენინგ სემინარს -სათესლე კარტოფილის დევენერაციის არსის გაგება. განსაკუთრებით საინტერესო იყო სიმულაციის სავარჯიშოებში მონაწილეობა. სასურველია, თუ ასეთი სიმულირების შესაძლებლობა გვექნება სხვა საქართველოს სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი კულტურების შემთხვევაშიც.

დიდი მადლობა საქმიანი გარემოს შექმნისა და გულითადი მასპინძლობისათვის.“

გივი წილოსანი -ბიოაგროწარმოება

02.05.2018

„CIP-ის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებზე გავცანი:

1. თესლის მოდელირება, APSIM პროგრამა

2. თესლის გადაგვარება -თემებს;

შეხვედრები მინდინარეობდა მაღალკვალიფიციური ექსპერტების, თარჯიმნის დახმარებით - ძალიან მაღალ დონეზე. მიღებულმა თეორიულმა და პრაქტიკულმა ინფორმაციამ გაამდიდრა, ჩემი „საქმიანობის“ სფერო.“

ქეთევან მჭედლიშვილი

სტანდარტების, სერტიფიცირების, დაგეგმვისა და ეკონომიკური ანალიზის სამსახურის ლაბორატორიის უფროსი

02.05.2018

„ძალიან საინტერესო და საჭირო ტრენინგია, განსაკუთრებით სიმულაციის სავარჯიშოები.“

გმადლობთ

მ. მაჭავარიანი -ჯგუფი „ანასტასია“

„ძალიან სასარგებლო და საჭირო ტრენინგია, მადლობა ორგანიზატორებს“

მ. ჩოხელი - ჯგუფი „ანასტასია“

„წარმოდგენილ ტრენინგში მონაწილეობით მივიღე საჭირო და სასარგებლო ინფორმაცია. განსაკუთრებით საინტერესო და სახალისო იყო პრაქტიკული სავარჯიშოები. ვიმედოვნებ უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციებს პრაქტიკული გამოყენება ექნება ადგილობრივი ფერმერებისთვის მოსავლიანობის გაზრდის მიხნით

მადლობას ვუხდის მომხსენებლებს და პროექტის ორგანიზატორებს.“

თეა მესხი ჯგუფი „ანასტასია“